№ 3 5 იანვარი, კვირა 1866–1875 5 იანვარი, კვირა № 3

დროება

გამოდის კვირაში სამჯერ

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მეიდანზე, ყორღანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*".

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება"

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

გაზეთის ფასი

ერთის წლისა — 8 მან; ნახევარის წლისა — 4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნინის (აბას-აბატის) მეიდანზე, ყორღანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრების ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა

თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის განმწესებელნი, რომელნიც წესდებულების დამატების 1-ის და 2-ის მუხლებში § 1-ის 1-ს შენიშვნაში არიან მოხსენებულნი, მოიწვევიან არა-ჩვეულებრივ კრებისათვის, რომელიც 1875 წლის იანვრის 28 (ოც-და-რვას) გაიხსნება.

ამ სხდომებში შემდეგ საგნებზე იქნება მოლაპარაკება:

ა) დამტკიცება იმ დაწესებათა, ინსტრუქციათა და დასკვნათა, რომელნიც, §§ 82 და 84 ბანკის წესდებულების მუხლების ძალით, საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს.

ბ) დამფასებელი კამისიის წევრთა ამორჩევა და

გ) გამოცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლებისა.

საზოგადო კრების და ზედამხედველი კომიტეტის თავს-მჯდომარე
თ. რევაზ ანდრონიკოვი.
საქმის მწარმოებელი
გიორგი ყაზიბეგი.

საქართველო

თფილისი, 4 იანვარს.

ამ წლის პირველს ნომერში „თფილისის მოამბისა" იწერებიან:

„ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ახალი ღუბერნატორის მოსვლისათანავე ქალაქმა მხიარული სახე მიიღოვო. ქალაქის დეპუტაციას, რომელმანც ახალ ღუბერნატორს შუამდგომლობა სთხოვა, ის დაჰპირდა, რომ ქალაქის კეთილდღეობისათვის იზრუნავს და აგრეთვე ეცდება, რომ, ახლანდელი პოლიციური გამგეობის მაგივრად, ქალაქს თვითმართველობითი დაწესებულება მოეცეს."

ამ გვარი ხმები და ამბები ჩვენც ბევრი მოგვდის ქუთაისიდამ. და საზოგადოთ ყველანი ემადლიერებიან და ყველას იმედი აქვს, რომ ახალი ღუბერნატორი კარგათ და გულ-მოდგინეთ მოჰკიდებს ხელს თავის საგამგეო ღუბერნიის საქმეებსა.

ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ ამ ჩინებულ ღუბერნიას ბევრი რამ აკლია. შინაგანი და გარეგანი წყლულები საკმაოთ მოუგროვდა, და იმედი გვაქვს უ. ღუბერნატორი, განკურნებას თუ არა, შემსუბუქებას მაინც მოახერხებს ამ წყლულებისას.

ეჭვი არ არის, რომ ხალხი ღუბერნიის მოთავის კეთილ-განზრახულობით და კეთილ-დღეობისათვის ზრუნვით ისარგებლებს. ეს კეთილ-განზრახულობა გაამხნევებს ხალხს და ერთის მხრით ფრთას გამოასხამს ყველა იმათ, ვისაც კი ამ გვარივე განზრახვა აქვს და მეორეს მხრით წელს მოსწყვეტს იმათ, ვინც ქვეყანასა და იმის მცხოვრებელს მეწველ ძროხასავით უყურებს და საზოგადო მოქმედებაში მხოლოთ თავის საკუთარი სახელისა და კუჭის დიდებაზე ფიქრობს.

იმერეთს და იმერლებს ჩვენში საზოგადოთ ძალიან ცუდი სახელი აქვთ დავარდნილი. მაგრამ ახლა, ჩვენ დარწმუნებული ვართ ამაში, რომ ამ უსაფუძვლო ცილის-წამებას მალე ფრთები მოეკვეთება. ვერავინ ვერ დაეხმარება ისე ამ ცილის-წამების მოსპობას, როგორც უფ. ღუბერნატორი.

უ. ღუბერნატორი, მერწმუნეთ, საზოგადოების თანაგრძნობასაც დაიმსახურებს. თავის მაგალითითა და მოქმედებით ის მიაძინებს და კიდეც მოსპობს იმ შეუსაბამო და საძაგელ გრძნობებს და ინტერესებს, რომელთაც ახლა, იქნება, თავი წამოუყვიათ და იმერეთს სახელს უფუჭებენ. ის გამოაღვიძებს, გაამხნევებს დროებით მიძინებულ, დამალულ და დევნილ კეთილ განზრახვებსა.

ხალხი ყველგან პატიოსანი და კეთილია. მხოლოთ განცალკევებული პირები არიან მავნებელნი და დაუნდობარნი.

კეთილსა და ავს ხალხი, გონებითა და ჭკუით თუ არა, გრძნობით მაინც გაარჩევს და ნურავის ნუ ექნება ეჭვი, რომ ვისმესი კეთილი განზრახვა ხალხმა და საზოგადოებამ არ დააფასოს.

ს. მესხი

დღიური

□ ყველა მხრიდამ საშინელ ზამთარს ამბობენ წელს. რკინის გზით მოსულებმა გვითხრეს, რომ განსაკუთრებით სურამის ქედზე საშინელი ყინვებიაო და დიდ-ძალი თოვლი დევსო. როგორც რომელსამე სტანციაზე რამდენიმე მინუტით გაჩერდება ვაგონები, იმწამსვე გორგოლაჯებს მიაყინავს და შემდეგ ორთქლის მაშინას დიდი ძალა და ბევრი ხვნეშა უნდება, რომ აგლიჯოსო.

ამას წინათ ხაშურსა და სურამს შუა ჩაფლულა ვაგონები და ვეღარ გაუვლია — ასე, რომ იძულებული გამხდარან ხაშურიდამ მეორე ლოკომოტივი (ორთქლის მაშინა) მოეყვანათ და მატარებელი ისევ უკან დაუბრუნებიათ.

□ დღევანდელ ნომერში მკითხველი ნახავს ფოთში ცეცხლის გაჩენის ამბავს. ამ კორრესპონდენციას გარდა, უფ. ა. ქუთათელაძისაგანაც მოგვივიდა ამ ცეცხლის აწერა.

მესამე კორრესპონდენციაც უფ. მგზავრისაგან მივიღეთ, რომელიც,

ფელეტონი

ქართული „ანბანი"

ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს,
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...
პირველი ასო არის: ა.

—

თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან,
ჩირქს, მოდებულსა მტრისაგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ბ.

—

სამშობლო შვილსა ერთგულსა,
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან
და ნუ უმტყუნებ შენს მშობელს...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: გ.

—

შენს ვალსა აასრულებდე,
ერთგულად, რაც კი მოგანდონ!
ნუ შეგაშინებს სიკვდილი.....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: დ.

—

პირადის სარგებლობისა,
იცოდე, ძუძნას დაეხსენ!
იყავ შენ მუშა ქვეყნისა.....
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ე.

—

თავ-გაწირულსა მუშასა
ვერ შეაშინებს ვერავინ,
ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ვ.

—

ვით მაღლით ჩაგონებული,
საქმეს რომ მისდგე ალეგზენ,
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი.....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ზ.

—

სხვებიცა შენის მიხედვით
გამრავლდებიან თან და თან
მამულის წყლულის მკურნალად...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: თ.

—

მიჰბაძე იმას, ვისაცა
თავს ედგა ეკლის გვირგვინი,
გვირგვინი ახლის აღთქმისა...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ი.

—

წინ სწორე წადი, რომ კვალი
მრუდედ არ დარჩეს შენს უკან!..
მაშ გახდი ჯერ სწორ-მხედველი....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: კ.

—

ეცადე სოფლის ბრუნვამა
ეგ შენი გული არ მოჰკლას!..
გამაგრდი როგორც სამსონი.
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ლ.

—

რომ ვეღარ შესძლოს მტარელობა
სუსტის მჩაგვრელმა ძალამან,
შესძარი სვეტი ბომონის....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: მ.

—

ვით დიოგენი, კეთილ-კაცს
ეძებდე, გეპყრას ფანარი,
რა ნახო, დაეძმობილე....
მაგრამ ისწავლე ჯერ: ნ.

—

რომ შენით შენმა მოძმებმა
ცოტა რამ შვება იპოვონ;
სხვას რაღას ეძებ ამ ქვეყნად....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ო.

—

და მაშინ შენი სახელი
იბრწყინებს ვითა ლამპარი,
მარადის გაუქრობელი.....
მაგრამ ისწავლე ჯერ: პ.

—

ზღაპრად ხომ იცი, მტრის ღალატს
არ შეუშინდა არც ბეჟან,
თუ შეგვხვდეს, ნურც შენ შეკრთები....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ჟ.

—

სხვათა შორის, ამბობს, რადგანაც საქრობი კამანდის წყალმა ვერა დააკლო რა ცეცხლსა, ხალხი ტალახს და თოვლს ესროდაო!

ამას გარდა ესვე კორრესპონდენტი იწერება, რომ ცეცხლის დროს საშინელი არეულობა იყო, ბევრი საქონელი დაიტაცესო; ცეცხლისაგან კი დაიცვეს, მაგრამ პატრონებს მაინც აღარა ერგოთ რაო.

ეს მეორეთ არის, რომ ცეცხლი ასეთს ზიანს აძლევს ახლად მოშენე ფოთსა. მივაქცევთ ამ გარემოებაზე ფოთის ქალაქის გამგეობის ყურადღებას და ურჩევთ, ნუ დაიზარებენ ცეცხლის კამანდის გამართვას, თორემ მესამედ... ხომ მოეხსენებათ, რომ „სამი“ უბედური რიცხვია ჩვენში!

რამდენათაც ვიცით, ფოთი ისეთი შეძლების ქალაქია, რომ რიგიანი საქრობი მაშინების გამართვა არ გაუჭირდება.

☐ ამბობენ, რომ ამ წლიდამ ახალქალაქი ახალციხის უეზდს შორდება და ცალკე უეზდის ქალაქად უნდა გადაკეთდესო.

☐ უფ. ილია ალხაზოვი გვწერს ზემოხსენებული ახალქალაქიდამ, რომ წელს იქ ძალიან სუსტი ზამთარი არისო.

ამასთანავე გვაცნობებს, რომ გასული თვის დამლევს ახალქალაქში გადაუყვანიათ ქუთაისიდამ ერთი ბატალიონი და იმედი აქვთ, რომ ეს ჩვენ ქალაქს გააცოცხლებსო (?)...

☐ ზოგიერთები „სამზარეულო წიგნს“ ჰკითხულობენ ქალაქში; მაგრამ ვერც წიგნის მაღაზიებში და ვერც სხვაგან სადმე უპოვიათ. გასაკვირველია, რისთვის გამოსცეს, თუ გასასყიდლად არ უნდოდათ...

☐ პეტერბურღის საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოებაში, ქრისტიშობის თვის 14, წაუკითხავთ კავკასიის ტეხნიკური საზოგადოების თავს-მჯდომარის, უფ. ბერსევანოვის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, კავკასიის გორჯილაზეა სჯა. უფ. ბერსევანოვი ამბობს, რომ შარშან ზაფხულს მოგზაურობის დროს გეოლოგოსმა აბიხმა ყუბანის მდინარის სათავესთან, სადაც ქვანახშირის მადნებია, ბუნებითი გორჯილის მადანიც აღმოაჩინაო. აბიხს აუწერია ის ხევები და გამოქვაბულები, რომლებშიაც ეს გორჯილა უნახავს; ის ამბობს, რომ, როგორც სჩანს, ეს გორჯილა ადრეც შეუმუშავებიათო და ამას გარდა რომ დაღესტანშიაც მოიპოვება ბევრი გორჯილის მადანი, ამაში ეჭვი არ არისო.

☐ რაჭიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ თუმცა მართალია, აქ ბევრგან კარგი სასოფლო შკოლებია გამართული სოფლის სასამართლოების სახლებშიო, მაგრამ ეს სასამართლოები ზოგან სამ-ოთხ ვერსზეა მოშორებული (მაინცა და მაინც გზებზე აუშენებიათო) და ამის გამო შაგირდებს უჭირსთ შკოლებში სიარულიო.

☐ სომხურს გაზეთს „მშაკში“ სწერენ, რომ ამ ახლო დღეებში უფ. ანდრიას არწრუნი ერთ საზოგადო ლექციის წაკითხვას აპირებს გოგირდის თაობაზე, და განსაკუთრებით კავკასიის გოგირდზე ილაპარაკებსო.

☐ იმავე გაზეთში ალექსანდროპოლიდამ იწერებიან, რომ იქ ამჟამად წითელა გახშირებულა, დღეში 3—5 ყმაწვილი კვდება (?) და აგერ ორი თვე არისო, რაც ეს ავათმყოფობა გრძელდებაო.

იგივე კორრესპონდენტი ამბობს, რომ უკანასკნელ დროს განჯის მაზრაში საშინელი ავაზაკობა არისო.

„ႣႰႭႤႡႨႱ“ ႩႭႰႰႤႱႮႭႬႣႤႬႺႨႠ

—

ფოთი, 31 დეკემბერს.

ფოთი მდიდარია სხვა და სხვა გვარი უბედურებით და შემთხვევებით. კაც-მკვლელობა, გაცარცვა, ცეცხლი და სხვანი ამათ მგზავსნი შეადგენენ არა იშვიათს მოვლენას ამ პატარა კოსმოპოლიტურ ქალაქში. საბრალო ფოთელებმა ძლივსღა გაიმართეს რა წელი იმ საგრძნობელ ზარალისგან, რომელიც შეამთხვია მათ ორი წლის წინ მყოფმა ცეცხლმა, უეცრივ, ყოვლად მოულოდნელად, შეუბრალებელმან სტიხიამ მოაგონა მათ თავი გუშინ, 30 დეკემბერს, ღამის 7½ საათზედ. შუაგულ ბაზარში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც იმოდნათ გაძლიერდა, რომ ორი საათის განმავალობაში გარდასწვა ოც და სამი ხის შენობიანი დუქნები. ალი ცეცხლისა ანათებდა თითქმის მთელ ქალაქს; მოძრაობა ხალხისა, წივილ-კივილი დუქნების პატრონებისა იყო საშინელი.

ფოთის ბედი, რომ ჰაერში იყო მყუდროება, არსაიდამ არ იძროდა ქარი, წინააღმდეგომ შემთხვევაში, შენი მტერი რაც ფოთს საქმე მოუვიდოდა. პოლიცია რაც შეეძლო ფაფხურობდა, მაგრამ სწორე უნდა ვსთქვა, ბევრი არაფერი გაურიგებია; მართალია, მან ერთ გვარი სიამაყით როგორც იყო მოაჩოჩა ერთი ახირებული კონსტრუკციის ცეცხლ-მქრობელი, მაგრამ თურმე ეს საბრალო მაშინა დიდიხნის წოლით ისე დასუსტებულ-იყო, რომ ისევ მალე უკან წაიღეს.

მიზეზი ცეცხლისა გაუფრთხილებლობა. უმეტესი ნაწილი ამ დამწვარ დუქნებთა იყო ესრედ წოდებული ბაკალეინის, ხოლო სამი მათგანი მანუფაქტურის საქონლით. საქონელი გადაარჩინეს პატრონებმა ძლიერ ცოტა. ამბობენ, ათ დუქნამდისინ იყო საზღვეველად შეტანილი. მთელ ზარალს, რომელიც შეამთხვია ფოთელებს ამ ცეცხლმან, მცოდნე პირნი აფასებენ 70 ათას მანათად, რომელიც, რასაკვირველია, ესრედ პატარა ქალაქისათვის, როგორც ფოთი, შეადგენს ფრიად საგრძნობელ დასაკლისს.

სხვა ამბავი აი რა არის ფოთში. გუშინწინ დათოვლა, ასე კოჭებამდისინ; მეორე დღესვე მარხილებით (სანკებით) დაიწყეს სიარული.

ყიენებმა, რომელნიც შეადგენენ იშვიათს მოვლენას ფოთში, კარგად მოაგონა თავი ფოთელებს. წუხელი, ღამის 10-ს საათზედ ტერმომეტრი გვიჩვენებდა ყინვის ოთხ გრადუს.

პ. ჩარექოვი.

სოხუმი, 10 დეკემბერი

წერილი პირველი

სოხუმის ყურე — ბუნების სურათები სოხუმის გარშემო — მისი მდებიარობა და ჰავა — ჭლექი და სოხუმის ჰავა — ფაქტების წინააღმდეგობა შესახებ ამ ჰავის მკურნელობისა — ორს ესკულაპს შუა მამლაყინწური ომი — სიმრთელის აღმაშენებელი მხარეები სოხუმის ჰავისა — რომელ შემთხვევაში ხდება სოხუმის ჰავა ჭლექის მორჩენის წამალი.

აფხაზეთის შუა წელთან შავ ზღვას იმდენი ურეცხნია და უღრღნია დედამიწა, მინამ თითქმის მიუღწევია მთების ძირამდის და გაუკეთებია პატარა ყურე. ამ ყურეს მეტად განიერი შესართავი აქვს ზღვასთანა და ამიტომ დიდი ქარიშხლის დროს ხომალდების და ნავების დაფარვა მას არ შეუძლიან; უბრალო ქარი კი ყურეს ღონივრათ ვერ აღელვებს და ამიტომ ნავები და ხომალდები მშვიდობიანად დგანან შიგ. ეგ ყურის ნაპირი შესდგება პატარა ვაკისაგან, რომელიც ვიწროთ არის გაწოლილი ზღვასა და მთებს შუა. ამ ვაკეზედ არის დაარსებული სოხუმი, პირველი და უკანასკნელი ქალაქი აფხაზეთისა.

სოხუმი გარეშემორტყმულია ბუნების მშვენიერი სურათებითა. მის უკან ხუთ რიგათ ამფითეატრულათ ამაღლებულნი არიან მცენარეობით შემოსილნი მთები, რომლებიც ჩრდი-

---

ჭირში და ლხინში ყოველთვის
შენს მოძმეებზედ იფიქრე,
რომ არ გიკვირდეს არც ერთი....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: რ.

—

რა სჯობს რომ შენსა ნაღვაწსა
ჩანგზედ დამღერდეს მგოსანი
და იმ ხმით სძგერდენ გულები....
მაგრამ ისწავლე ჯერ: ს.

—

ვისაც ეს წილად რგებია
ბედისგან, ის არს ნეტარი,
სახარბი, სამაგალითო....,
მაგრამ ისწავლე ჯერ: ტ.

—

და ვაი კაცსა ურგებსა:
მას ბნელი ადევს უკუნი
დაწყევა საშვილიშვილო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: უ.

—

მას ველარ იხსნის წყევისგან
ვერცა დიპლომი, ვერც ფარი,
ვერც მოჭედილი საყელო....
მაგრამ ისწავლე ჯერ: ფ.

—

ხალხის მართლ-განჩინებასა
ხელს ვერ შეუშლის მანქანი,
მანქანი ხრიკით ნაჭედი....
მაგრამ ისწავლე ჯერ: ქ.

—

ნუ დაივიწყებ ნურც იმას
რაც ზემოთ გითხარ მე წელან!
თავიდამ გაიმეორე.....
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ღ.

—

რაც წაიკითხო, იფიქრე,
ბეჯითად გული მიაპყარ
და მერე კიდევ განვაგრძოთ....
შემდეგი ასო არის: ყ.

—

თუ დაიღალე, მითხარი,
ხვალამდინ გაგიშვებ შენ შინ
და ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ,
რომ ყარის შემდეგ არის: შ.

—

რა ამდენს ასოს ისწავლი,
მერე არ გინდა ჩიჩინი:
შენ უჩემოთაც მიხვდები,
თუ რა ასოა ის: ჩ.

—

ხომ ხედავ? გაგიადვილდა,
ჩინი უჩემოთ გამოსცან!
თუ სცანი, კიდეც მოშორდი
და გაიკვეთე ეხლა: ც.

—

შენს გაზდას, თუ მოგეწყინოს,
ან მოგივიდეს აწ ძილი,
კითხვა ხვალამდე გადავსდოთ;
მაშინ ვისწავლოთ ეს: ძ.

—

მაგრამ არ გირჩევ, რადგანაც
მცირეღა დაგვრჩა ნაწილი
ამ ჩვენის „ანა-ბანისა“...
მაშ წაიკითხე ეს: წ.

—

გამოიფხიზლე, ადუღდი,
გამცხარდი როგორც მაჭარი;
და უფრო მკვირცხლად ისწავლი
თუ რა ასოა ეს: ჭ.

—

თუ დაიღალე: მითხარი,
სჯობს შეისვენო ხან-და-ხან,
რომ მერე შესვენებულზედ
უფრო გამოსცნო შენ ეს: ხ.

—

ხვალ ამოსაღებს დაიწყებ,
რადგან გემატა დღეს ჯანი
მთლად ანა-ბანის დასწავლით,
მაგრამ, ოჰ, დაგერჩა ეს: ჯ.

—

და ვინც სულ არასა სწავლობს,
მათ უნდა უთხრათ ხომ „ჰაი;
რადგანაც გამოუცნობი
დარჩებათ იმათ ეს: ჰ.

აკაკი

ლოეთისაკენ თან და თან მაღლდებიან და ბოლოს თავდებიან თვით კავკასიის ქედით. ეს უკანასკნელი ზოგიერთა თავის უმაღლესი თოვლით შელესილი წვერებით სჯარჯავს წინა კალთებსა და ამპარტავნულად გადმოსცქერია ქალაქსა; ახლად ჩასული მზე ოქროს ფრად გარს ეხვევა ამ ცაში წასულ წვეროებსა და უნებურად აგონებს ადამიანსა პოეტის სიტყვებსა:

მზე ჩაესვენა, მაგრამა მის შუქი ჯერეთ კავკაზსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა.

აღმოსავლეთით სოხუმს უძევს დაბალი მთა, რომლის შემოსილება კალმუხის ქუდს წარმოგიდგენს და რომელიც ზღვას ნაპირ-ნაპირ ჩასდევს, დასავლეთით გაჭიმულია ხითა და ბუჩქნარით შემოსილი ქალა, კალოსავით სწორე, რომელზედაც ისვენებს თვალი, დაღალული მთების ცქერითა. სამხრეთით გაშლილია თვალ-გადაუწვდენელი ზღვა, რომელიც ხან მძინარე მდევივით არის მოსვენებული, ხან კი ღრიალებს და შფოთავს გაცეცხლებული ლომივით და თითქოს ემუქრება ჩანთქმასა თვით კავკაზის ქედსა. ზღვის იქითა ნაპირს, თითქმის ას სამოცი ვერსის სიშორეზედ, ცხადათ გამოჩანს ბათუმის და ტრაპეზონის ქედი, თავისი თოვლით დაფენილი წვეროებითა; ეს წვეროები ზედ გორიზონტის წრეზედ არიან ჩამწკრივებულნი და ადამიანის თვალში უზარმაზარი ბოძებივით იმაგრებენ მათზედ თითქო დაბჯენილ ცასა და სახსოვარში აღვიძებენ იმავე პოეტის სიტყვებსა:

ბუმბერაზ მთანი მდუმარეთ ცათამდის აყუდებულან,
სხედან, ვით მდევნი სპეტაკნი ყინულის გვირგვინით შემკულნი.

ამ გვარი მდებიარების ქალაქი არ შეიძლება, რომ სითბოს ბუდე არ იყვეს. ჩრდილოეთის სიცივეს გზა აქვს სრულიად შეკრული უზარმაზარი ბუნების კედლით, სამხრეთის სითბოს კი ყურთამდის აქვს გაღებული კარები. მთების აქეთა გვერდები, მზის გულისაკენ მიშვერილნი, ძალზედ ხურდებიან და მათი სითბო ეშვება ძირს ქალაქში. ზღვა, რომელიც ზაფხულში ისე გაუმაძღრათა სვამს მზის სითბოსა, ზამთარში უხვათ უშვებს მას და ჰფენავს ქალაქში. აი რისთვის ნოემბერში და დეკემბერში აქ ნამდვილი ზაფხულის დღეებია, ვარდის მაღალი ბუჩქები საამურათ ყვავიან სხვა და სხვა ფერათა და ადამიანს დილით ხანდახან აღვიძებს ელვა და ჭექა-ქუხილი.

სწორეთ ეს თვისება აქვთ სახეში ექიმებსა, როდესაც ისინი გზავნიან აქეთკენ მოსარჩენათ გულმტკივანა ავათმყოფებსა და ჭლექიანებსა. მათ სოხუმი მიაჩნიათ მეორე ეგვიპტეთ და ნიცცათა. პირველი შეხედვით ექიმების ქცევა ამ შემთხვევაში სრულიად საფუძვლიანათ ეჩვენება ადამიანსა. სითბო სამართლიანათ ითვლება სიცოცხლის ერთ უმთავრეს წყაროთა. ამიტომ დაცემულის სიმრთელისათვის ის უნდა იყვეს საიმედო ამყენებელი. მაგრამ რას გვეუბნებიან ფაკტები? ამართლებენ ისინი მოლოდინს შესახებ სოხუმის ჰაერის მკურნელობისა? როცა დანტემ მოინდომა მისი გაგება, თუ რამდენათ იყო სულის საცხონებელი რომის სარწმუნოება მან ჯოჯოხეთში ჩაიხედა. მივბაძოთ მის მაგალითსა და გავიდეთ აქაურ სასაფლაოზედ. ჩვენ აქ ათამდი ახალ საფლავს დავთვალით, სადაც მარხვიან ახალგაზდა ყმაწვილები ჩვენი მხრიდგან აქ მოსარჩენად მოსულნი ამ უკანასკნელ წლებში. მათთვის ჭლექს მიუმატებია თავისი აქაური მსხვერპლებიცა. ამითი არ თავდება საქმე. ცოცხლებშიაც იპოვნი იმ გვარ პირებსა, რომლებიც აქ გულსაღონი მოსულან და აქ გამხდარან ავათ ჭლექითა. აქაურ სამხედრო სამკურნალოში ბევრ არა ერთ სალდათს ნახავ აქაური გორნიზონისას გულ დაზიანებულსა. როცა ამ გვარ ფაკტებს ადამიანი იტყობს, სოხუმის ჰაერის მკურნალობაზედ რადიკალურათ იცვლის ჰაზრსა. მაგრამ მეორე რიგი ფაკტებისა ესარჩლება ამ ჰაერსა. სოხუმის მცხოვრებლებში ურევიან პირნი, რომლებიც თურმე გამოწლილ ფიჩხულსა ჰგვანდნენ, როცა აქ მოსულან, ახლა კი წარმოგიდგენენ ქვირითით გაჭიკნილს კაპუეტსა. ასახელებენ არა ერთ ავათმყოფს ფილტვებითა, რომელსაც გასაღება ღირსებია ერთი ზამთრის განმავლობაში. წრევანდელი ავათმყოფებიც მადლიერნი არიან აქაური ჰავისა. — მათგან ხშირათ გესმის, რაც სოხუმში მოვედი ამდენი და ამდენი გირვანქა სიმძიმე მომემატაო. მასთან აქაურ მესასწორის ჯიბესაც ემატება და მგონია მხურვალეთ ლოცულობს, ღმერთო ჭლექი აღორძინეო. ჭლექი და მესასწორის ჯიბე! თითქო გაუზომელ მანძილზედ დგანან ერთმანეთზედ ეს საგნები, მაგრამ კვიმატი ცხოვრება რას არ დაუკავშირებს ერთათა. ზოგიერთა აქ მოსული ავათმყოფი იმდენათ კმაყოფილია აქაური ჰაერისა, რომ აპირობს სამუდამო ბუდე ჩაიდგას სოხუმში.

როგორც ატყობთ, ფაკტებს გაცხარებული ჩხუბი აქვთ და ხომ იცით, რაკი ფაკტები ერთსა და იმავე საგნის შესახებ ჰოსაც ამბობენ და არასაც, მაშინ შეუძლებელია, რომ ადამიანების ტვინებს შუა ომი არ გაჩაღდეს. სწორეთ ეს ომი ჩაუდენია სოხუმის ჰავასაც. შარშან აქაურ ორ ესკულაპს ცხარე ომი გაუმართავთ. ერთს მათგანს წაუკითხავს ლექცია და უქია აქაური ჰაერი როგორც ნამდვილი მკურნალი ჭლექისა. ეს ლექცია მას დაუბეჭდინებია გაზეთს „კავკაზში.“ მეორე დასცემია სოხუმის ჰავასა, მოუყვანია მის მკურნალობის წინააღმდეგ ფაკტები და ლექტორის ჰაზრი შემლების და გვარათ დაურღვევია. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, აღჭურვილა ახალი იარაღით და უსროლია ყუმბარა. გაჩენილა მელნის მღვრელი ბრძოლა; მერმე რა შეუბრალებლივ ულევრიათ საწყალი მელანი! სამი ასპარეზი გამოუცვლიათ, „კავკაზიდგან“ გადაფორთხილან დაქოჩრილნი „ოდესის უწყებაში“ და იქიდგან მიუხწევიათ სატახტო გაზეთებამდის და ისევლე დაქოჩრილებსა, რასაკვირველია, ფაკტები და ჰაზრები მალე დარჩენიათ უკანა და წინ გაუძღვიათ პიროვანი შემკობა. სოხუმის ჰაერს მიტომ აქებს, რომ პაციენტები გაიმრავლოს და ჯიბე გაიტენოსო, უთქვამს და დაუბეჭდია ერთსა. სოხუმის ჰავას მიტომ აძაგებსო, რომ მასთან არავინ მიდის ავათმყოფთაგანიო, ჯავრი მოსდის და იყეფება, როგორც ის ძაღლი, რომელიც თივაზედ იწვა, არც თვითონ შეეძლო ჭამა და არც სხვას ანებებდაო. ომი გათავებულა წინააღმდეგების დაქანცულობით და არა სოხუმის ჰავის თვისებების გამორკვევით, როგორც ყოველთვის თავდება ამ გვარი მამლაყინწური ჩხუბი. წრეულ კი უფრო ვიწრო და უფრო კერძო ხასიათი აქვს ესკულაპების უთანხმოებასა: ერთს კარგა მსხვილს მოსამსახურეს მარსისასა ცოლი გახდომია ავათ გულის ტკივილით; ერთი ექიმი ენერგიულათ ურჩევს სოხუმი დასტოვე, თორემ ცუდი ბოლო მოგელისო, მეორე კი მტკიცეთ სდგას იმ აზრზედ, რომ სოხუმის გარეთ ავათმყოფის მდგომარეობა უარესი შეიქნება. წარმოიდგინეთ ახლა ამ ქალის მდგომარეობა და მისი ქმრისა!

(ამ წერილის დასასრული შემდეგ №ში.)

რუსეთი

ეს ორი დღეა, რაც რუსეთიდამ და სამზღვარ გარეთიდამ ფოჩტა არ მოსულა. ამბობენ, რომ რამდენიმე ფოჩტა კავკასიის მთებზე ჩამოცვივნულ მეწყერს შეუჩერებია.

ამით აიხსნება დღევანდელი „დროების“ ნომრის სიღარიბე რუსეთისა და უცხო ქვეყნების ამბებისა.

რედ.

✶ ერთი პეტერბურღის საექიმო გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ ჟამად პეტერბურღში ძალიან გავრცელებული ცხელება და ციება არისო. დღემდი ეს ავათმყოფობა მარტო მდაბიო ხალხში იყო გახშირებული, დღეს კი შეძლებულებსაც მოედვა და ბევრი მსხვერპლი იშოვაო.

✶ „მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ ფინანსის სამინისტროს შეუდგენია ახალი მოსაზრება რუსეთიდგან სპარსეთში და სხვა აზიის ქვეყნებში ტრანზიტის ვაჭრობის თაობაზე და ეს თავის მოსაზრება უცხო ქვეყნების სამინისტროსთვის წარუდგენია.

✶ „მმართებლობის მოამბე“ გვაცნობებს, რომ მარტო ბიორგობისთვის განმავლობაში 2,879-ჯერ გაჩენილა ცეცხლი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებში და ამ ცეცხლს შეიდი მილიონ [illegible] ორმოცდა ხუთი ათასი მანეთის [illegible]ნი მოუტანია მცხოვრებლებისათვის. საზოგადო რიცხვიდამ, 460-ჯერ ცეცხლი წაკიდებით გაჩენილა, 737-ჯერ გაუფრთხილებლობით, 37-ჯერ მეხისაგან და 1,545 სხვა და სხვა უცნობი მიზეზებისაგან.

✶ ხერსონის გუბერნიის ტირასპოლის უეზდში ამ ჟამად შიმშილობაა და საზოგადო ხელის-მოწერაა გამართული დამშეულების შესაწევნელად. მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ხელის-მოწერისაგან ბევრი არ შემოსულა, რადგან ჩივილი დიდი ხანია დაუწყნარებლივ ისმის.

ყურადღების ღირსია, ამბობს ერთი, რუსული გაზეთი, რომ დამშეულებს როგორც არის ისევ ღარიბები უწყობენ ხელს და ცოტა ოდენ შემწეობას აძლევენო, მდიდრებისაგან კი ხელის-მოწერით და ისეც ძალიან ცოტა შემწეობა სჩანსო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. პარიჟის გაზეთებში ამას წინათ სწერდნენ, რომ სანამ ვერსალის ნაციონალურს კრებაში კონსტიტუციური კანონების თაობაზე სჯას დაიწყებენ, მანამ ეხლანდელი სამინისტრო გამოიცვლება და ზოგიერთი მარცხენა მხრის წევრნი უნდა მოიწვიონ ახალი სამინისტროს შესადგენათაო. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ხმა არ გამართლდა: ეხლა ხანს მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ ჯერ-ჯერობით მაკ-მაჰონი ახლანდელ თავის სამინისტროში არავითარი ცვლილების მოხდენას არ აპირებსო.

— სხვა საინტერესო გამოაშკარებას გარდა, არნიმის პროცესმა ერთი შესანიშნავი მოვლენაც გამოაჩინა; სასამართლოში წაკითხული დიპლომატიური მიწერ-მოწერილობიდამ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის უსაძაგლესი პარტია ბონაპარტისტები გერმანიასთან დაკავშირებას ეძებდნენ და იმის საშუალობით უნდოდათ, რომ საფრანგეთის მმართებლობა ჩაეგდოთ ხელში. ამას გარდა ზემოხსენებული მიწერ-მოწერიდამ აღმოჩნდა, თვითონ ბისმარკი და არნიმი ძალიან კარგის თვალით უყურებდნენ ამ პარტიას.

ერთს ფრანცუზულს გაზეთში ამის თაობაზე მშვენიერი სტატიაა დაბეჭდილი, რომლის ავტორს უკვირს, რომ ამ გამოაშკარების შემდეგ, ბონაპარტიელებს კიდევ იმდენი მხნეობა აქვსთ, რომ ზემო პირინეის დეპარტამენტში დეპუტატის ადგილზე თავიანთი კანდიდატი წარმოადგინეს. მაგრამ ბონაპარტიელების წარსული გვიმტკიცებს, რომ იმათგან ფრანცუზებისათვის გასაკვირვებელი არაფერი არ უნდა იყოს: ოღონ თავის განზრახვის, თავის პოლიტიკური იდეალის შესრულება მოახერხონ, და

ამისთვის არაითარ საშუალებას არ დაზოგვენ.

შვეიცარია. შვეიცარიის საკავშირო მმართებლობას შემდეგი ახალი კანონები გამოუცია ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებისთვის: ყოველს ფაბრიკაში უნდა იყოს გამართული საამხანაგო კასსა, რომელიც გაჭირვების დროს ხელს მოუმართავს მუშებსა და რომელსაც თვითონ მუშები განაგებენ. ფაბრიკის მეპატრონეს უფლება არა აქვს, რომ დღეში თერთმეტ საათზე მეტი ამუშაოს მუშები. ღამით მუშაობა კვირაში მხოლოთ ექვსს საათს შეიძლება, ისიც რომელსამე განსაკუთრებულ შემთხვევაში. ქალებს ღამე არამც და არამც არ უნდა ამუშავებდნენ, აგრეთვე არც ახალგაზდა მუშებსა. ფაბრიკის პატრონებს არ შეუძლიანთ, რომ თოთხმეტი წლის ნაკლებ ყმაწვილები ამუშაონ თავიანთ ფაბრიკაში, რადგან ისინი ამ დროს ვალდებულნი არიან შკოლაში იარონ და ისწავლონ. თოთხმეტი წლიდამ თექვსმეტი წლის ყმაწვილებს ნება აქვთ დღეში მხოლოთ ექვსი საათი იმუშაონ.

სავაჭრო

△ უცხო ქვეყნელი ვაჭრები თან-და თან უფრო ეჩვევიან და ესევიან ჩვენს ქვეყანასა. როგორც სჩანს, შეუმუშავებელი ბუნებითი სიმდიდრე და დაუდევნელი, ღარიბი ხალხი ნახეს, რომელსაც ამ სიმდიდრის გამოყენება ვერ მოუხერხებია. მოდიან და სარგებლობენ. რამდენი ფრანცუზია ეხლა ჩვენში, რომელთაც თუ კასრის (ბოჩკის) ხეები, თუ თუ კაკლის კუნძები, თუ ისე შენი და სხვა გვარი ტყე, თუ საქონლის ტყავი, თუ ღორის ჯაგარი, სიმინდი გააქვსთ და ხუთი-ათი წლის განმავალობაში უკანასკნელი 20-50-100 ათასი მანეთის სიმდიდრე შეუძენიათ?! ამბობენ, რომ უფ. რიშარი წელიწადში მარტო კუნძსა და ღორის ჯაგარს უკანასკნელ ასი ათასი მანეთისას ჰყიდისო საზღვარ გარეთაო.

ახლა ვიღაც სხვა ფრანცუზები ჩამოსულან და, როგორც შევიტყვეთ, საქონლის ტყავის ყიდვას აპირებენ. ძროხის ნედლ ტყავში 3-4 მანეთამდი აძლევენო, მშრალს ტყავში ფუთში 6-7 მანეთამდი.

△ ინგლისი ორი მადნით იყო მდიდარი და ძლიერი: ქვანახშირითა და რკინით. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამ მადნებზე, როგორც სწერენ, ისე კარგათ აღარ მიდის საქმე, როგორც ადრე. ინგლისელებს შეშინებიათ, მალე არ გამოგველიოსო და ხელი მოუჭერიათ: ზოგს იქაურ ფაბრიკანტებს ეხლა ბელგიიდამ და სხვა ქვეყნებიდამ მოაქვსთ თურმე რკინა და ქვანახშირი. ამას გარდა ინგლისის მადნებზე ძალიან ხშირი უთანხმოებაა პატრონებსა და მუშებს შუა და ეს გარემოებაც აბრკოლებს ამ საქმის კარგათ წასელას.

ნარევი

ამერიკაში ისეთი ხერხი გამოუგონიათ ცეცხლის გემებისათვის, რომლის შემწეობითაც თითქმის ერთი-ორად უფრო ჩქარა შეუძლიან გემმა ზღვაში იაროს, ვიდრემ ეხლა. ამას გარდა ნახშირიც აგრეთვე ბევრად ნაკლები მოუნდება. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ეს გამოგონება იმითია, რომ იმის წყალობით ერთს თვალის დახამხამებაში შეიძლება გაქანებული ხომალდი გააჩერონ ან უკან დააბრუნონ. რასაკვირველია, რომ ამ გვარი ხერხი ძალიან სასარგებლოა ზღვაში მოგზაურობისათვის, რადგან მაშინ ისე ხშირად აღარ დაეტაკებიან ხომალდები ერთმანეთს, როგორც ეხლა ხდება ხოლმე და იმდენი ხალხი და საქონელი აღარ დაიღუპება.

⁂

ვაშინგტონში იქნება მალე ასოს-ამწყობლების შეჯიბრება. საუკეთესო ასოს-ამწყობლები მოწვეულნი არიან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღონ. ვინც ყველაზე უფრო ბევრ სიტყვას და ნაკლები შეცდომებით ააწყობს, იმას მისცემენ საჩუქრად ერთს ისეთს ოქროს იარაღს, რომელიც ყველა ტიპოგრაფიის ასოს-ამწყობელისათვის აუცილებლად საჭიროა. ზოგიერთი ისეთი დახელოვნებული ამწყობლები მიიღებენ თურმე ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას, რომელნიც საათში 1600 სიტყვას ააწყობენ ხელნაწერიდამ.

*

გაუფრთხილებელი დედებისათვის: ახალ წლის წინა დღეს ვიღაც შეძლებული სომხის სახლში გოზინაყს აკეთებდნენ თურმე და ორი წლის ყმაწვილი სრულებით უყურადღებოდ დაეგდოთ. ყმაწვილი ახლოს მოსულიყო ცეცხლთან, ტანისამოსზე წაჰკიდებოდა ცეცხლი და სრულებით დამწვარიყო.

⁂

ქვემომოყვანილი პროცესისთანა პროცესსი თუ ვისმე გაგიგონიათ, მე მარჯვენას მოვიჭრი.

მოგეხსენებათ, რაჭის მთიან ადგილებში მეწყერი იცის, ესე იგი ზოგიერთ დაშვებულ მთებს გვერდებში წყალი ჩაუდგება და დაეშვება. ამას წინათ ერთი იმისთანა გორა, რომელზედაც გლეხი სახლებულა, ჩამოწეულა და გლეხის საბძელი ერთიც ვნახოთ მეორე გლეხის ეზოში ჩასულა.

შესდგა საჩივარი: საბძლის პატრონი ამბობს, რომ ეს მიწა და საბძელი ჩემი არისო. მეორე გლეხიც, რომლის ეზოში საბძელი ჩამობრძანდა ამტკიცებს, რომ ეს მიწა ჩემი არისო და რაც ამ მიწაზე გაჩნდება, რასაკვირველია, ისიც ჩემი უნდა იყოსო. მოდით და გაარჩიეთ!

სასამართლოს, ამბობენ, ასე გარდაუწყვეტია: რადგან ეს საბძელი მოძრავი ქონება ყოფილა, პატრონმა უკან გადიტანოსო...

განცხადება

რუსული გაზეთის „თფილისის მოამბის“ გამოცემაზე 1875 წელს.

„თფილისის მოამბე“ 1875 წელს გამოვა იმავე პროგრამმით, იმავე დროს და იმავე სივრცით, როგორც შარშან გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

ერთი წლით, გიგზავნით. . . 8 მან.
ნახევარი წლით . . . . . 4 და 50 კ.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника.“

2 (3) 1

დაიბეჭდა და გამოვიდა
ვრცელი
„დროების კალენდარი“

ქართველებისა, სომხებისა და ფრანგებისათვის შედგენილი და გამოცემული „დროების“ რედაქციისაგან.

ისყიდება: თფილისში — ვართანოვის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე სხვა ჩვენ ქალაქებში და უეზდებში.

ფასი ექვსი შაური.

სამი თვის ანგარიში თიონეთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

1-ი სეკტემბრიდამ 1-ს დეკემბრამდე 1874 წლისა

ამხანაგებთა ირიცხებიან 182 პირნი.

1, შემოსავალი:

ა., ამხანაგობისაგან არის შემოტანილი წილის ფული. 2581 მ. — 80 კ.
ბ., სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან . . 162 მ. — „
გ., სესხი. . . . 1150 მ. — „
სულ . . . 3893 მან. 80 კაპ.

2, გასავალი

ა., გასესხებული. . . 2700 მ. — „
ბ., დახარჯული გამგეობის გამართვაზედ. . . . 196 მ. — 80 კ.
სულ გასულა. . 2896 მ. 80 კ.

3, კასსა

ბ., შეტანილი არის თბილისის სავაჭრო ბანკში სარგებელზედ 27 ნოემბრიდამ ამა წლისა 800 მ. — „
ბ, ნაღდი ფული არის კასსაში . . . . . . 397 მ. — „
სულ . . . . 1197 მან. — „

გამგებელნი . ვ. ლოლაევი.
პ. გაქრაძე.
თ. ლ. ჯანდიერი.

3 (3) 4

Ներկայ 1875 թւին

«ՄՇԱԿ»

Կը հրատարակվի նոյն պրօգրամայով

Տարեկան գինը 5 րուբլ
կէս տարվանը 3 ր.

Բացի խմբագրութիւնից կարելի է գրվել և պ. Տատուրեանցի խանութում.

Օտարաքաղաքացիք թող դիմեն այս հասցէով въ Тифлисъ въ Редакцію газеты „Мшакъ.“

2 (3) 9

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
გორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილ. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	დილა		5	33	2	96
სურამი . .	4	57	7	35	5	84	3	24
გორი . .	7	23	10	12	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52	1	49	9	8	5	4
თფილისი .	10	49	3	32	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაბ. საღ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას — პარასკევს, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	3	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	4	—

ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ
ღია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

პეტერბურგი, 31 დეკემბ.	მან.	კაპ
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 33½ პენსი.	—	84
პარიჟში 349 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	98	
მოგებიანი (პირველისესხი)	192	75
მოგებიანი (მეორე სესხი)	190	95
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5½)	84	25
მოსკოვის (5%). . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	242	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	132	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაღაზია

თფილისი, 4 იანვარს.	მან	კ.
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	—
— ამერიკისა, ფუთი. .	6	55
გაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	40
— თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	20
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	55
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	60
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Января 1875 г. Типографія Меликова и Kº. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.